

ქართული ენობის საქართველო

IX წ.

საქართველოში გამოცემული

IX წ.

№ 22.

კვირა, 27 მაისი 1901 წელსა.

№ 22.

გაზეთის ფასი: ერთი წლით თბილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ., თბილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., საბითუმო 2 მან., თითო ნომერი — სამი შაური.

სკლის მოწონება მიიღეს: თბილისში — «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «კვლის» რედაქციაში, საპირფარეოს № 15. ტელეფონი № 734.

თბილისის ადრესი: Тифлисъ, редакция „КВА.ЛИ“.

შინაარსი. მე-XIX საუკუნის მოღვაწენი. — ჩვენი დღევანდელი პრესა ნ. ურდანიასი. — სხვა და-სხვა ამგებნი. — გორესპონდენციები. — ჭიათურის ბანკი ნ. ელიაშვილი. — რუსეთის ცხოვრება. — საზღვარგარეთ. — ეუფემიას ოცნება (დასასრული) ლალონისა. — წერილი რედაქციის მიმართ ვასილი წერეთლისა. — მცირე შენიშვნა ს. ყ. — ს. — რედაქციისაგან. — განცხადებანი.


მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწენი.

IV. რუსეთის მოღვაწენი.

4. გოგოლაძე.

გოგოლი იყო ეგრეთ წოდებული ნატურალური სკოლის დამაარსებელი და დამკვიდრებელი რუსეთში. თავის ხელოვნურ ნაწარმოებებში მან საესებით დახატა თანამედროვე რუსეთის ცხოვრების უკულმართობა, საზოგადოების სრული გახრწნილება ზნეობრივი და გონებრივი, და ამნაირათ დიდი დედალი გაუწია თავის ქვეყანას თვით-ცნობიერების გაღვიძების საქმეში.

გოგოლი დაიბადა 1809 წ. მცირე რუსეთში, პალტავის გუბერნიის დაბა საროხინცაში. მამა მისი იქაური მესამედიკოსი იყო. გოგოლი ჯერ სახლში სწავლობდა, მერე პალტავაში ერთ გიმნაზიის მასწავლებელთან და 1821 წ. ახლათ გახსნილ ნეჟინის გიმნაზიაში მიებარა. იქ სწავლა მაშინ, როგორც საზოგადოათ ყოველგან რუსეთში, რაკიანათ ვერ იყო დაყენებული, ისე რომ გოგოლს გიმნაზიიდან ბევრი არაფერი გამოუტანია. ამ ხანაში ხალხთ ის კარგი გავლენა



გოგოლაძე.

იქონია გოგოლზე, რომ მას გულში ჩაუფარდა თეატრის და ლიტერატურის სიყვარული, რადგანაც გიმნაზიაში არსებობდა მოსწავლეების წრე, რომელიც დღესასწაულებზე წარმოადგენებს აწყობდა და ხელნაწერ ჟურნალს „ვარსკვლავს“ სცემდა.

1828 წ. გოგოლმა გაათავა გიმნაზია და გაემგზავრა პეტერბურგს. ერთ ხანს დეპარტამენტში მსახურობდა, მაგრამ მალე დაანება თავი.

1831 წელს მან გამოსცა თავისი პირველი მოთხრობები „Вечера на хуторѣ близъ Диканьки“, სადაც დახატულია ცოცხალის ჰუმორით სურათები მალოროსთა ცხოვრებიდან, ის სურათები, რომლებსაც ბავშობიდან ხედავდა თავის გარშემო. ახალგაზდა მწერლის ნიჭმა მაიქცია საზოგადოების ყურადღება და გოგოლი დაუახლოვდა მაშინდელ ცნობილ ლიტერატორებს პუშკინს, ჟუკოვსკის და სხ. პუშკინთან დაახლოვებამ

დიდი სარგებლობა მოუტანა მას. ყოველ თავის ნაწარმოებს ის ჯერ პუშკინს უკითხავდა და ისმენდა მისგან შე-

ნიშნებს. საუკეთესო მისი თხზულებების სიუჟეტი («Мертв. души», «რევიზორი»), როგორც თვითონ გოგოლი ამბობს, პუშკინმა მისცა მას*). მაგრამ ამით თავდება პუშკინის გავლენა გოგოლზე. თავის ნაწერებში გოგოლი ყოველთვის ორიგინალური იყო, მისი ნიჭი არავის ზედგავლენის ქვეშ არ ყოფილა და მან თავიდანვე საკუთარი რეალური მიმართულება შექმნა ლიტერატურაში. საზოგადოთ, გოგოლი საკვირველ მოვლენას წარმოადგენს, როგორც მწერალი. მას არავითარი მომზადება, ტეორეტიკული განვითარება არ ჰქონია, რაც არა ერთხელ დაამტკიცა თავის ცხოვრებაში, და მხოლოდ თავის ბუნებრივი ნიჭის წყალობით დასწერა ისეთი თხზულებები, რომლებმაც ეპოქა შექმნეს რუსულ მწერლობაში.

1835 წელს გოგოლმა გამოსცა თავის ახალი მოთხრობების კრებული. ამ მოთხრობებში კიდევაც გამოიჩინა გოგოლის ნიჭის ხასიათი, ორი ძირითადი მისი თვისება—ჰიუმორი და რეალიზმი. ის გენიატავს უმთავრესათ რუსეთის საზოგადოების საშუალო კლასს, ჩინოვნიკობას და მემამულეებს. მის მოთხრობებში ჩვენ წინ დგას ადამიანი დაწერილმანებული, ცხოველად გარდაქცეული, რომლის ერთადერთი იდეალი—სმა-ჰამა არის, ერთადერთი დროს გატარება—მეზობლებთან დავა ან ჰორიკანობა. ყველა ამ მოვლენებს ავტორი პიუმორიულად აგვიწერს, მაგრამ მის სიცილში, როგორც არა ერთხელ თვითონ ის ამბობს, ცრემლები არის დაფარული, ავტორი გრძნობს, რამდენად გათახსირებულია კაცის პიროვნება მის გმირებში და მკითხველსაც ამასვე აგრძნობინებს.

1834—35 წელს გოგოლმა დასწერა კომედია ჩინოვნიკების ცხოვრებიდან „რევიზორი“, სადაც ისეთი სიძლიერით და სინამდვილით დაასურათა თანამედროვე საზოგადოებრივ წეს-წყობილების გარყვნილობა, რომ ავტორის წინააღმდეგ ყოველ მხრიდან ატყდა დევნა: მას უძახოდენ ცილის-მწამებელს, მთელი რუსეთის შეურაცხყოფელს და სხვ. ამ მითქმა-მოთქმას უმნიშვნელოდ არ ჩაუვლია გოგოლისთვის. „მე დავიდალე სულითაც და ჯანითაც, — სწერს ის პუშკინს, — ვიფიცავ, არაინ არ იცის და არ გრძნობს ჩემს ტანჯვას... ჩემი საკუთარი თხზულებაც კი შემძულდა ახლა!“

ნერვებ აშლილი და მოქანცული, ის გაემგზავრა დასამშვიდებლად საზღვარგარეთ.

მან მოიარა სხვა-და-სხვა ევროპის ქალაქები, და ბოლოს რომში დასახლდა. პარტიათა ბრძოლა, პარლამენტი, პოლიტიკური დასები, — ყველაფერი ეს სრულებით არ აინტერესებდა მას. რომმა მიიზიდა ის ბუნების მშვენიერებით და ძველი ხელოვნების ნაშთებით.

აქ გოგოლმა გაათავა პირველი ტომი თავის რომანის „Мертвые души“ — „მკვდარი სულები“ (საბატონო გლეხს „სულს“ უძახოდენ რუსეთში). ამ რომანის შინაარსი შემდეგია: მოთხრობის გმირი ჩიჩიკოვი დადის სოფლიდან სოფელში და ყიდულობს მემამულეებისაგან მკვდარ გლეხებს, რომლებიც სარევიზიო ქალაქებში ცოცხლებათ ითვლებიან, რომ მერე მოტყუებით დააგირავოს ეს გლეხები ხაზინაში და გაიქცეს ალებული ფულით. მაგრამ ამიტომ არ დაარქვა გოგოლმა თავის რომანს „მკვდარი სუ-

ლები“. ამ სათაურით თვით რომანის იდეა არის გამოხატული: მართლაც, მკვდარი არიან სულიერად ყველა ის ჩიჩიკოვები, მანილოვები, საბაკევიჩები, პლიუშკინები, რომელნიც ისეთის სინამდვილით დახატა ავტორმა და რომლების უმაღლესი იდეალი უშრომლად ცხოვრება, უშრომლად სმა-ჰამა არის. სულიერად მკვდარი არიან ყველა ის რომანში გამოყვანილი მაზრის ჩინოვნიკები, რომელნიც ქრთამის ალებას თავის შრომის ერთადერთ მიზნად ისახვენ და კარგად ვახშობდას—ერთადერთ ბედნიერებათ; მკვდარი არიან სულიერად ყველა ის №-ს ქალაქის ქალები, რომელნიც „მოდის“ კაბების ჩაცმის და ერთმანეთზე ჰორების შეთხზვის მეტზე არაუფრზე ფიქრობენ.

გოგოლი თვითონ, პირადად, არ იყო წინააღმდეგი ბატონ-ყმობისა მაგრამ მის ხელოვნურ ნაწარმოებებში დახატული ცხოვრება, ბატონ-ყმურ ურთიერთობაზე აღმონაცენი, საუკეთესო მაჩვენებელი იყო არსებული წეს-წყობილების უკუღმართობისა. „მკვდარი სულების“ პირველი ტომი 1842 წ. გამოიცა. გოგოლი თვითონ ჩამოვიდა რუსეთში ამ რომანის გამოსაცემად, და შემდეგ ისევ რომში დაბრუნდა. ამ დროიდან წყდება გოგოლის მოღვაწეობა, როგორც მწერალის-ბელეტრისტის. „მკვდარი სულების“ დამთავრება მან ვეღარ შესძლო. პირველი ტომის გამოცემის შემდეგ მის სულიერ მდგომარეობაში დიდი ცვლილება მოხდა. რელიგიური გრძნობა, რომელიც მას ბავშობიდან დედისაგან ჩანერგილი ჰქონდა, ახლა მისტიციზმით შეეცვალა. მას მოეჩვენა, რომ ყველაფერი, მისგან დაწერილი, ცოდვას წარმოადგენდა ღვთის წინაშე, და რომ ის ცხოვრების ცუდი მხარეების აღწერით რყვნიდა საზოგადოებას. და აი, გოგოლმა მოინდომა ცხოვრების იდეალურ მხარეების მონახვა და აღწერა „Мертвые души“-ს შემდეგ ტომებში. მაგრამ ესეთ ძალ-დატანებას ვერ დაემორჩილა მისი ნიჭი, და გოგოლმა რამდენიმეჯერ დასწვა მეორე ტომი თავის რომანისა, რადგანაც იდეალური გმირების სურათი უსიცოცხლო გამოუღიოდა.

მაშინ გოგოლმა განიზრახა ცოდვების შესანანებლად იერუსალიმს გამგზავრება, და იქ წასვლის წინათ გაიქცა წიგნი. „წერილები მეგობართან“, სადაც თავის წინანდელ ნაწერებს უარჰყოფს და ზნეობის მქადაგებლად გამოდის. ამ წიგნში ის გამოდის ყველა იმ უსამართლოების დამცველად, რომელიც თვითონ ისეთის საესებით დახატა, ურიგდება ბატონ-ყმობას, იწვევს საზოგადოებას ყველაფერს თავი დაანებოს და მიეცეს საესებით რელიგიას, ზნეობრივ თვით-განვითარებას.

ამ წიგნმა გააოცა გოგოლის ყველა მეგობრები თუ წინათ „სლავიანოფილებიც“ და „ზაპადნიკებიც“ განუწირველად თაყვანს სცემდენ მას, ახლა მათი გრძნობა მის წინააღმდეგ შევრთდა.

აკაკოვმა და ბელინსკიმ ორივემ მხურვალე პროტესტები გაუგზავნეს მას. „თქვენ ვერ შეგინიშნავსთ, — წერდა მომკვდავი ბელინსკი გოგოლს, — რომ რუსეთის ხსნა მისტიციზმში კი არ მდგომარეობს, არამედ ცივილიზაციის განვითარებაში, განათლებაში, ხალხში ადამიანური ღირსების გრძნობის გაღვივებაში... ჩვენ ქვეყანას ახლა სამართალი და კანონი ექირვება, ყველაზე უფრო ცხოველი და ნაციონალური კიახვები რუსეთში ახლა გლეხების

*) პუშკინის შესახებ ჩვენ გასულ წელს გვქონდა ჟეკალშია პერილი და ამიტომ ახლა აღარ ვუბრუნდებით მას.



განთავისუფლება, პიროვნების ხელ-უხლებლობა არის... და ამისთანა დროს დიდებული მწერალი, რომელმაც თავის საკვრველ თხზულებებით დანახვა რუსეთს თავი, როგორც სარკეში, გამოდის წიგნით, რომელშიაც სწავლის მხეც-მებატონეს გლეხების ცარცვას... თქვენ რომ ჩემი მოკვლა მოგდომებოდათ, მაშინაც არ შემძულდებოდით ისე, როგორც ამ წიგნისთვის შემძულდით... მათრახის მქადაგებელი, სიბნელის მოციქული, თათრის წესების დამცველი, რას ჩაღიხართ თქვენ? დაიხედეთ წინ, თქვენ უფსკრულში ვარდებით!

ამ წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გოგოლოლზე, მაგრამ მისი გამობრუნება შეუძლებელი იყო. მისტიკაში უფრო-და უფრო ღრმა ფესვებს იღვავდა მის გულში და 1852 წელს ის გარდაიცვალა მოსკოვში.

ჩვენი დღევანდელი პრესა.

1.

ქართულ პრესას ჩვენ შარშან ვრცლათ შევხვით და გამოვთქვით ის აზრი, რომ დღევანდელი პრესა არ შესაბამება დღევანდელ ჩვენ ცხოვრებას და საჭიროა მისი განახლება, ჩვენი ერის მოწინავე ხალხის თანდათან განვითარება, გაცნობიერება, დაბალ საფეხურიდან მაღლა ამოყვანა და შეგნებულ რაზმით გადაქცევა — აი რას უნდა ელტვოდეს მწერლობა, აი მისი დროა — დაეწყოს ჩვენ მაშინ. მას შემდეგ განვლო რამოდენიმე თვე და ჩვენს პრესასაც ერთი ახალი ორგანო შეეძინა, ეს არის განახლებული „ცნობის ფურცელი“.

„ცნობის ფურცლის“ განახლება მოხდა განსაკუთრებულ პირობებში. ჩვენ საზოგადოებას თავი მოაბეზრა თავისი უძრაობით და უშინაარსობით ჩვენმა მოხუცებულმა „ივერია“ და თუ მაინც კითხულობდა — ეს იმიტომ რომ დღიური ამბების გაგება მას მიუცილებელ მოთხოვნილებათ გადაექცა. მეორე მხრით, პრესის ჩამოქვეითება დაეტყო ადგილობრივ რუსულ გაზეთებსაც; რუსულის მკოდნე ქართველ მკითხველს აღარც რუსული გაზეთები აკმაყოფილებდნ და ასე მომზადდა ნიადაგი ახალ ორგანოსათვის. ამისათვის ადვილათ ასახსნელია ის სიხარული და კმაყოფილება, რომლითაც ყველა ჩვენ „ცნობის ფურცლის“ დაბადებას შეხვდით. მისი მოწოდება იყო სავსებით შეგნო ჩვენი პრესის ეს ძირითადი ნაკლებეანება და მკითხველის გაზრდილი და განახლებული მოთხოვნილებები დაეკმაყოფილებია. მას უარი უნდა ეყო არსებული გაზეთების უაზრობა და უძრაობა და ნამდვილ ცოცხალ, თანამედროვე მიმართულების გაზეთათ გამოსულიყო. ახალი ამბავი და ახალი აზრი — აი რით უნდა მივებრო მას საერთო ყურადღება და მოვპოვებია საერთო თანაგრძობა.

შეასრულა მან ეს? გაამართლა მან საზოგადოების მოლოდინი? არის „ცნ. ფურ.“ ისეთი ორგანო, რომლის დაარსებას ჩვენ კიდევ გასულ წელს ვნატობდით? ყველა ამას ჩვენ გავიგებთ მისი განხილვისაგან.

ეს ნახევარი წელიწადია, რაც ის განახლებულათ გამოდის. ეს დრო ყველა გამოცემისათვის საკმარისია თავის თავის გასაცნობათ და თავის გულის წადილების გამოსათქმელათ და აი ამ ხნ ს განმავლობაში ჩვენ გულ-

მოდგინეთ ვათვლიერებთ „ცნობის ფურცელს“ და ახალი ამბავის მეტს ვერას ვპოვებთ. ის ძლიერ ჩქარი და მაღალი ცნობების გადმოცემაში, რაც მის რეპორტერთა ღირსებას შეადგენს. სამაგიეროთ ძლიერ მდარეა აზროვნებით, რაც მისი რედაქციის სისუსტეს მოასწავებს. ქართულ ენაზე ჯერ არ ყოფილა ისეთი გამოცემა, რომელიც თავისი თეორეტიკული ნაწილით ანუ აზროვნებით ისე ღარიბი იყოს, როგორაც „ცნობის ფურცელი“. თვით გაზ. „ივერია“ კი თავის არსებობის პირველ ხანებში ბევრს ლაპარაკობდა ამა თუ იმ კითხვის შესახებ და თავის მიმართულებას გამორკვეულ კალაპოტში ასხამდა შეიძლიათ იმას არ დაეთანხმოთ, მაგრამ იმას მაინც გატყობანებდათ, თუ ვისთან გაქვთ საქმე. „ცნობის ფურცელი“ კი ისე უფრთხის თავისი აზრის გამოთქმას, თავისი პრინციპების გამომჟღავნებას, რომ არ იცია, რანაირ მიმდინარეობასთან გაქვს საქმე. აქ თქვენ შეხვდებით ერთათ ერთ ბ. არ ჯორჯაძის წერილებს, რომელნიც ეხებიან „საქირ-ბოროტო კითხვებს“ და ამათ ასე თუ ისე არკვევენ. მაგრამ რედაქცია თავის მხრით ზოგ ამ წერილთაგანს ისეთი შენიშვნებს უკეთებს, რომ გვაგებინებს, ბ ჯორჯაძე რედაქციის წევრი არ არისო*)“. ცხადია ბ. ჯორჯაძის წერილების დახასიათება სრულებით არ ნიშნავს რედაქციის დახასიათებას და მაშასადამე „ცნობის ფურცლის“ მიმართულების გაგებას. ბ ჯორჯაძის ნაწერებს ჩვენ შევეხებით მეორე წერილში, ახლა კი შევუდგეთ იმ მცირე მასალის საშუალებით, რასაც გაზეთი გვაწვდის, თვით რედაქციის სახის ვათვალისწინებას.

აქ ჩვენ, გარდა პირველი საპროგრამო წერილისა, რომელიც, ჩვეულებისამებრ, ერთ დიდ დაბრებას შეადგენს, ვერც ერთ პრინციპიალურ წერილს ვერ ვხედავთ. ამისათვის, პრინციპი, დედა-აზრი აქა-იქ უნდა ეძიოთ და ეგებების სადმე რასმეს ამის მსგავსს წააწყდეთ. აი, მაგ., გაზეთის ბაირალტარი, ბ. კ. აბაშიძე, ერთ თავის „პესიმი-სტურ“ სტატიაში რას სწერს: „მეცხრამეტე საუკუნე ევროპის ქრისტიანულის კულტურის დანგრევის ხანათ უნდა ჩაითვალოს, ისე როგორც ძველის ბერძნულ-რომაულის კულტურის — უკანასკნელი საუკუნეები. ასეთი შედარება მეცხრამეტე საუკუნისა რომისა და საბერძნეთის დაცემის ხანებთან ძალა-უნებურათ მოგადგება კაცს ენაზე“ (№ 1347).

თუ ეს შედარება მართალია, გამოდის რომ გასულ საუკუნეს ევროპა დაუცია, გაუთახსირებია, ისე როგორც ბოლო საუკუნეებში რომს და საბერძნეთს მოუვიდა. ძველი ქვეყნის კულტურის დანგრევას თან მოჰყვა თვით ამ ქვეყნების და მათი ერების დანგრევა; მაშასადამე „ქრისტიანული კულტურის დარღვევასაც“ მე-XIX საუკუნეში მოჰყოლია თვით ქრისტიან-ქვეყნების (ევროპის) დანგრევა; აქამდის ყველას ეგონა, რომ მე-XIX ს-მ ააყვავა და აალორძინა მთელი კაცობრიობა. ახლა კი „ცნობ. ფურცელი“ გვატყობინებს, ყველა ეს ქორია, მე-XIX ს-მ დააქცია იგივე კაცობრიობა!

რაკი ეს სასტიკი საუკუნე ასე საშინლათ მოეპყრო ბუმბერაზს ევროპას, რასაკვირველია, ჩვენ, პატარა ერ,

*) მაგ., ერთ წერილს რედაქცია შენიშნავს: „ამ წერილში აღძრულ საყურადღებო კითხვებს შემდეგ დაუბრუნდებით“ (№ 1358), თუმცა არ დაბრუნებია კი; მეორეს: „ჩვენ არ ვეთანხმებით პატივცემულ ავტორის აზრს ქალაქის თვითმართველობისათვის ბრძოლის ნაციონალურ ნიადაგზე დამყარების შესახებ“ (№ 1427).

დიდ ხეივანს არ დაგვყრიდა და სამარის კარებამდის მიგვიყვანდა. აქედან წარმოშვა ის დაუსრულებელი წყვეტა-კრულვა ჩვენი აწყობისა, რომელიც ასე ხშირათ გაისმის „ცნობის ფურცელში“, მაგრამ საკვირველია ის რომ ვაზეთის რედაქცია სულ მთლათ არ ეთანხმება თავის თავს და თუმცა ამის შესახებ თვით „ცნ. ფურცელში“ ხმა ვერ ამოუღია, სამაგიეროთ მეორე მის გამოცემაში „მოამბეში“ გადასულა და იქ „ცნობის ფურცლის“ წინააღმდეგ გამოუღლაშქრნია. აი რას სწერენ აქ:

«ჩვენს დროში სშიდად გვესმის გადაჭარბებული შესანიშნავსტურბი მთაქმა, მკრამ ჩვენის ფიქრით, შესანიშნავი იკიწყებენ ორს გარემოებს: ერთი ის არის, რომ ჩვენი ქვეყანას ხალხს ეკონომიკურ ცხოვრებას იწყებს, ძველი ნადავლი არღვევს და ხალხი ნადავლი იკიდებს ფეხს; ამ გვარს ებრძობაში ჩვეულებრივია ერის დასუსტება და სულადი გაღარბება, მკრამ, ეს მსოფლიო დროებაა, რადგანაც დაწყებულია განკითხვათაებას ვერ შეახერხებს. » (№ 2, შინაური მიმოხილვა).

და რადგანაც „ცნობის ფურცლის“ და „მოამბის“ რედაქცია, ყველამ იცის, ერთი და იგივეა—ო—გვეუბნებიან თვით რედაქტორნი („ცნობის ფურცელი“ № 1356), აშკარაა ეს რედაქცია თავის თავს ეომება, ანუ მისი ერთი წევრი მეორეს ებრძვის და ასე მკითხველთა აზროვნებაში არეგ-დარევა შეაქვთ. კაცს ვეღარ გაუგია, რომელი ორგანოა მართალი, ვაზეთი თუ ყურნალი, თუმცა ორივეს „რედაქცია, ყველამ იცის, ერთი და იგივეა“. ეს თავის თავთან ბრძოლა ვერაფერი სასახელოა რედაქციისათვის, თუნდაც ის სულ „ახალგაზდათაგან“ იყოს შემდგარი, და აი, ეს ბრძოლა „ცნ. ფურ.“ რედაქციის წინააღმდეგ თვისებაა: რასაც ერთ ალაგას იტყვიან, მეორე ალაგას უთუოთ დაარღვევენ და, უქველთა, ეს თავისი ხასიათი კარგათ იციან, რომ ასე უფთხილდებიან თავისი აზრის გამოთქმას.

«ამ ბოლოს დროს, კეთილდობთ გასეთში, ინტელიგენტის სახელი და უფრო დიდი დროის ქონა მეტად აღეგებს და აზრებს ჩვენის საზოგადოების ერთ-ერთ ნაწილს; ეს ნაწილი შესდგება რადაც ასარებულია დამახინჯებისა, რომელნიც განსაკუთრებულს, განსაკუთრებულს და ამიტომ ზოოლოგიურათ მეტად საინტერესო ტიპს წარმოადგენს დამახინჯ კლასში (№ 1417).

ე. ი. „ზოოლოგიური ტიპი“ ყოფილან ისინი, ვინც ჩვენებურ ინტელიგენტს იწუნებს. მაგრამ ასეთ „ზოოლოგიურ ტიპს“ ვხედავთ სწორეთ ამავე ვაზეთში. აი რას ვკითხულობთ აქ:

«აი ამ უხერხულ გონებით დასურვალა დღევანდელა ჩვენა დაავადმყოფებული, გადაგვარებული განათლებული ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, ანუ ინტელიგენტია, მისი გონება იმ გუქსა ჰგავს, რომელსაც სურგუნო დიეტა აქვს განწყობული» და სხ. (№ 1366).

თუ კი ჩვენი ინტელიგენტია ასე დასენიანებულია (რაც ჩვენ არ გვჯერა), ცხადია, ყოველ რიგთან კაცს ის უნდა აღეგებდეს და არა ახარებდეს. და თუ ის მაინც „ზოოლოგიური ტიპია“—მაშ ის პირველათ თვით „ცნობის ფურცლის“ თანამშრომელთა შორის უნდა მოინახოს და მერე სხვაგან. საკვირველი ის არის, რომ რედაქცია ხშირათ არ ესმის თვითონ ის, რაც მის ვაზეთში

იბეჭდება და ცდილობს მკითხველსაც უკუღმა გააგებინოს. მაგ., ბ. აბაშიძემ ერთ თავის წერილში მლიერა განაღიდა ბ. ზურაბიშვილი და მისი ბელეტრისტული ნიქი ისე დაახასიათა, რომ, თუმცა „ხორციელი კაცი ვერ გაიგებდა“, მაგრამ „დიდი რამე“ კი მოახვია თავზე. ეს შენიშნა თავის დროზე „კვალმა“ (№ 2). ამის პასუხათ „ცნ. ფურ.“ განაცხადა, რომ ბ. აბაშიძეს სრულიადაც არ განუდიდებია ზურაბიშვილიო, ეს „კვალის“ შეთხზული ქორიარა“ (№ 1356), მაგრამ რედაქციის ასეთ აზრს არღვევს თვით ბ. აბაშიძე, როცა სწერს: ბ. ზურაბიშვილი თავის „სოციალოგიკურს, ესტეტიკურს და ფილოსოფიურ“ უტიულებით გამამტკიცებელია“ შიო არაგვისპირელის სკოლისათ (№ 1418). აშკარაა, ბ. აბაშიძის აზრით ბ. ზურაბიშვილს „ფილოსოფიური“ ეტიუდები უწერია, და მასასადამე „დიდი რამეც“ გაუკეთებია, ხოლო რედაქცია მას არ ეთანხმება და თავის მხრით აცხადებს ბ. აბაშიძე სრულიათ არ აღიღებს ზურაბიშვილსო! ამაზე უფრო უკუღმა გაგება შეიძლება? წერილის ავტორი ამბობს, მე ღიდათ ვაქებ ამა და ამ პირსო, ხოლო რედაქცია კი ჩაფრენია, არა, შენ არ აქებო! ეს ხდება უქველათ იმიტომ, რომ „ცნ. ფურ.“ რედაქციას რცხენია ბ. აბაშიძის ასეთი აზრებისათვის და სურს მკითხველის წინაშე მას (და მით თავისთავსაც) ბოდიში მოხადოს. მარა ერთი ვიკითხოთ: რატომ ათავსებენ ვაზეთში ესეთ წერილს, რომლის თანახმა თითონ არ არიან? თუ ვაფიხსენებთ „მოამბეში“ დასტამბულ ზემოთ მოყვანილ წერილს ბ. აბაშიძის პესნიმიზმის წინააღმდეგ, ვაფიხებთ, რომ „ცნობის ფურცელში“ ბ. აბაშიძეა ყოველად ძლიერი და წინააღმდეგობას ვერ უბედავენ, ე. ი. რედაქცია ერთი აზრის და მიმართულების ხალხს კი არ შეიცავს, არამედ სრულიათ სხვა დასხვათ და ამიტომ ისინი მოპირდაპირე მხარეებისაკენ მიიწევ-მოიწვიან. და რადგანაც ეს მიწევ მოწევა ერთ და იმავე ალაგას ხდება, ამიტომ ეს ალაგიც არეულ-დარეულ სახასიაზს წარმოადგენს. ამით აიხსნება ის, რომ დღემდის ვერავის გაუგია, რა გზას ადგია და რას ქადაგობს „ცნობის ფურცელი“. ის ხან ძველებს მივარდება*), ხან ახლებს, სურს, ვითომ რაღაც შუა ადგილი დაიჭიროს, მაგრამ ამას ვერ ახერხებს და ისევ სრულიად „უადგილოთ“ რჩება.

განსაკუთრებით საყურადღებოა „ცნობ. ფურ.“ წერილები ქუთაისის შესახებ. აქ არეულ დარეულობას თანახლავს წმინდა ბავშური მოსაზრება და გვიკვირს რა ადგილი აქვს ამ „უჩინიკურ“ ვარჯიშობას ვაზეთში.

«ქუთაისის ინტელიგენტის, სწავის გასეთა, ტეუელად ვინმე სწამებს უბრინციობასა და პროგრამის უქონლობას ამა გადათავაღიკეთ (ჩვენ. კესტიკია), თუ უკუგეთიკის კბილეს არ უდრქეს ამ ინტელიგენტის მსოფლიო იმასიკის, რომ იგი მომსრება ნაფიც მსაჯულთა და კრების ინსტიტუტისა...» (№ 1398)

აი ახირებული საბუთი! „ჩვენომ ვესტ“ ღანძლვა თურმე გაღანძლულის პრინციპის და პროგრამას დამამტკიცებელი საბუთია! და თუ ერობის მომხრეობა პრინციპს მოასწავებს, მაშ „კალისტრატე“ პრინციპის კაცი

*) განსაკუთრებით ამოიჩვენა ბ. გოგუაშვილი და ეს არა რაიმე პრინციპისათვის, არამედ უბრალო „შენ-ჩემობის“ და „გულის მოფხანისათვის“...



ყოფილა, ვინაიდან ისიც ერობის მომხრეა. განა ამის თქმა სურდა გაზეთს? უეჭველია მას სურდა «ოპოზიციის» შექმნა და ეს უბრალო ხელობაც ვერ მოუხერხებია! მაგრამ ამას კიდევ ვილა ჩივის, რომ მეორე ალაგას ერთიანთ არ დაერღვია თავისივე ნათქვამი და იგივე ოპოზიცია ფეხ-ქვეშ არ გაექცა; აი მისი სიტყვები: „აქამდის ქუთაისში ბრძოლას შრომითა ბრძოლა არ კოქმას, არამედ ბრძოლა რიგიანობისა, წინააღმდეგი ურიგობისა და ამიტომ შეიძლება ოპოზიციას გარკვევით არც კი ჰქონდეს შემუშავებული რაიმე პროგრამა (ვის გაახსენდება მაგისტანტები?), მაგრამ თავისი ბელადი ყველა საქმისათვის კი დროზედ უნდა ჰყოლოდა ამორჩეული“ (№ 1410, ფელეტონი).

ხვეთ ოპოზიციას პროგრამაც ჰქონდა და პრინციპიც, აქ კი ყველა ეს გაპარვია და ხელში შერჩენია უბრალო „რიგიანობა“!

ამ „უპროგრამო“ „რიგიან“ ხალხს ასე არიგებს „ცნობის ფურცელი“: „ყველა საზოგადოების წევრი, ვინც კი ხელდას მანვე კაცის უკეთურ საქციელს, ზოზლით, უბატონოვრობით ეპყრობა მას: ხელს არ ართმევს, თავს არ უკრავს; არავითარ საპატრიო ადვილზე არ იკარგება. მხოლოდ ამნაირათ შეიძლება გასწორება და განდევნა საზოგადო ასპარეზიდან ზოგიერთი კაცების, რომლებიც აფეხებენ, აბრკოლებენ საერთო საქმეს“ (№ 141, იხ. აგრეთვე № 1399).

როგორ მოგწონთ ეს „ხელის ჩამორთმევის“ ბრძოლა! „უპროგრამო“ ხალხს მეტს, რასაკვირველია, ვერ მოეთხოვთ, მაგრამ ფიქრი იმის შესახებ, რომ ხელის ჩამორთმევილობით შეიძლება საზოგადო ასპარეზზე ლელოს გატანა— რას მოასწავებს თუ არა მთქმელის სრულ უსუსურობას? ასეთი დარიგების საქადაგებლათ განა გაზეთის გამოცემა იყო საჭირო?

ამ „უპროგრამო რიგიანმა“ გაზეთმა რამდენიმე მოწინავე წერილი უძღვნა „უპროგრამო რიგინი“ ხალხის მეთაურს ბ. ზდანოვიჩს და ჩააცვდა, — მარგანეცის მრეწველობასთან ერთათ ქუთაისის მეთაურობაც თუ არ იტვირთვ, დავილუპებითო. აი გაზეთის საარაკო საბუთიც: „პირველათ ყოვლისა, მგონი, არაფრათ დაუშლის ქალაქის თავობა თავისი საქმის (მარგანეცის მრეწველობის) წარმართვას, მეორე, კერძოდ რომ ყოს (ე. ი. კიდევაც რომ დაუშალოს), ეს მსხვერპლა უნდა მოუტანოს ბ. ზდანოვიჩმა უსათუოთ თავის ქვეყნის კეთილ დღეობას!) და თავის პარტიას“ (№ 1398).

ხომ ხედავთ, მარგანეცის მრეწველობის შეფერხება თურმე ქვეყნისათვის სასარგებლო ყოფილა! ბ. ზდანოვიჩი უთუოთ ქუთაისის თავათ შეიქნეს, თუნდაც ამას იმერეთის უმთავრესი მრეწველობის დანგრევაც მოყვეს! აი, როგორ ყვარებიათ იმერეთი „ცნობის ფურცლის“ ბიბლიოტეკით! აქედან განა ცხადი არ არის, რომ ესენი თავის მეგობრების ასამაღლებლათ აღარაფერს არ ვერიდებიათ და პიროვნებას საქმეზე მაღლა აყენებენ? ზდანოვიჩის პარტიას (ე. ი. თვით „ცნ. ფურცელს“) უნდა ენაცვალოს შავი-ქვის მრეწველობათ! ამას ქადაგობს გაზეთი, გაზეთი მართალია „უპროგრამო“, მაგრამ „რიგიანი“! ეს არის რიგიანობის დაცვა?

ამნაირათ, აზრის სრული სილატაკე და უპროცინობა, ლოდიკური არე-დარევა და შეუსაბამობა, რაიმე მი-

მართლებების უქონლობა და მხოლოდ თავისი მეგობრების à tout prix ამაღლება— აი განახლებული „ცნობის ფურცელი“, აი მისი რედაქციის სახეობა.

და თუ ეს მართლა ჩვენი „დიპლომატიანი ინტელიგენციის“ ორგანოა, როგორც თვითონვე ამბობენ, ცხადია, ბ. აბაშიძე მართალი ყოფილა, როცა ამ ინტელიგენციას ისეთ საშინელ ბრალსა სდებდა და მის „ავთ-მყოფობას“ ქვეყანას აუწყებდა...

ნ. ჟორდანი.

სხვა-და-სხვა ამბები.

კვირას, 20 მაისს, ქვაშეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში ეგნატე ინგოროყვას (ნინოშვილის) სულის მოსახსენებლათ გადახდილ იქმნა წირვა და წირვის შემდეგ პანაშვიდი, რომელსაც დაესწრენ ქართულ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელი და მრავალი ხალხი. ამავე დღეს, გადახდილ იქმნა პანაშვიდი ქ. ოზურგეთში და კიურდამირში.

იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლები აღარ იქნებიან ადგილობრივ ეპარქიების უფროსობის ქვეშ. სასულიერო სემინარიები ხსენებულ ეპარქიებს ჩამოერთვით წინათვე.

ქართულ დრამატულ საზოგადოებას გამოუცია ახალი სია ქართული პიესებისა, რომელთა წარმოდგენა ნება-დაართულია კავკასიაში.

გლაზგოს (ინგლისი) მსოფლიო გამოფენაზე კახურ ლენოს ყურადღება მიუქცევია და ძრიელ მოსწონებით. ასე რომ რამდენიმე ვაჭარს უკვე შეეკრიბან პირობით კახურ ლენოების ინგლისში გაგზავნის შესახებ.

წარსულ ორშაბათს შესდგა კრება ბექდვითი სიტყვის წარმომადგენელთა კომისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა გაემართა პავლიონი ბექდვითი სიტყვისა მომავალ გამოფენაზე. როგორც კრებაზე გამოიჩინა განსაკუთრებული პავლიონის გამართვას, ადგილობრივი ჟურნალ გაზეთობა ვერ შესძლებს. ამიტომ გადასწყვიტეს სთხოვონ გამოფენის კომისარიატს, რომ დაეთმოს მათ უფასოთ უმთავრეს პავლიონში 40—50 კვ. საფენი ბექდვითი სიტყვის გამოფენისათვის.

ბათომილამ სამოცი ვერსის მანძილზე ს. მურღულიის მახლობლათ ახლახან გამართეს სპილენძის ქარხანა. ქარხანაში ჯერ ჯერობით მუშაობს 400 მუშა, შემდეგ მუშათა რიცხვი ავა 2.000-დღე.

გასულ იანვრისა და თებერვლის განმავლობაში ამიერ კავკასიიდან გაუტანიათ საზღვარ-გარეთ 334 ათასი ფუთი სიმინდი: ბათუმის ნავთსადგურით—220 ათასი, ფოთისა—114 ათასი ფუთი.

გზათა მინისტრის განკარგულებით ამ ზაფხულს შეუდგებიან გუდაუთისა და ოჩემჩირის ნავთსადგურების გამოკვლევას და შესწავლას. განზრახვაა გაათართოვონ და გააუკეთესონ ეს ნავთსადგურები. განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ ოჩემჩირის ნავთსადგურს, რად-

განაც ამ ნავთსადგურიდან გაიზიდება ტყვარჩელში დამუშავებული ქვა-ნახშირი.

ქიათურის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების დირექტორებათ აუროჩვიათ: თავ ი. გ. (კიტა) აბაშიძე, თავ კ. პ. თუმანიშვილი და ი. ლ. ლორთქიფანიძე.

მთავრობას უკვე დაუმტკიცებია წესდება სახალხო კითხვების საზოგადოებისა ქ თბილისში და თბილისის გუბერნიაში.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა კრება მოხდება პირველ ივნისს, საღამოს 8 საათზე, ქართულ თეატრის ფოიეში განსახილველი საგნებია: წარსული წლის ანგარიში, მიმდინარე საქმეები, საზოგადოების წევრთა არჩევა და გამგეობის ახალ წევრთა არჩევანი.

როგორც ვახ. „ენობის ფურცელს“ ატყობინებენ თბილისში კიდევ არსდება თუქმე ახალი ამხანაგობა რომლის მიზანი იქნება პირიან ფასათ მიაწოდოს მსყიდველს სანოვაგე.

22 მაისს დაიწყო თბილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულა ბანკის წარმომადგენელთა მორიგი კრებები, რომელთაც უნდა განიხილონ წარსული წლის ანგარიში.

წელს მოსკოვის ტექნიკურ სასწავლებლებში გაიხსნება სამი ვაკანსია კავკასიის სტიპენდიატთათვის

ქუთაისიდან გვატყობინებენ: მომრიგებელ მოსამართლემ გაარჩია 16 აპრილს მომხდარი თეატრის არეულობის საქმე და გამოიტანა შემდეგი განაჩენი: ერთს გადახდეს თუმანი ჯარიმა ან და დატუსაღებულ იქმნას ორი დღით, ორს—ხუთ ხუთი მან., ხოლო ექვსს—სამ-სამი მანეთი ან ერთი დღით დაპატიმრება.

ქუთაისის სახალხო წარმოდგენების გამმართავ წრეს შავი ქვის მწარმოებელთა საბჭოსაგან მოუვიდა წინადადება: მართოს სახალხო წარმოდგენები ქიათურაშიაც წარმოდგენებისათვის საჭირო სახლი უკვე დაქირავებული აქვთ, რომელშიაც 200-დღე კაცი დაეტევა. სცენის და შენობის მოწყობას კისრულობს, რასაკვირველია, იგივე საბჭო. ქუთაისის წრე დასთანხმდა ამ წინადადებაზე, ხოლო საჭირო ხარჯების დასაფარავათ და აგრეთვე მომავალი სახალხო სახლის (ქუთაისში) ასაგებათ სთხოვა საბჭოს მისცეს მას ათასი მან. და აძლევს პირობას არა ნაკლებ 5 წარმოდგენის გამართვისას წლის განმავლობაში საბჭოს კი, რამდენათაც ვიცით, გადადებული ჰქონდა ამ საქმისათვის 600 მანეთი.

თბილისსა და ბათუმს შუა მოსიარულე მატარებლებში მგზავრთა სიმრავლისა გამო საშინელი სივიწროვეა, რისთვისაც მრავალ გვარი უწესოება ხდება. საჭიროა მიექცეს ამას ყურადღება და მატარებელთა რიცხვს მოემატოს.

კორესპონდენციები.

ს. ძვემო-ნიჩბისი (გორის მაზრა). არ ვიცი, მკითხველო, ს. ქვემო-ნიჩბისის არსებობა მოგესვენებათ თუ არა! ამ

სოფელზე, მგონი, ჯერ ზრესაში არც კი დაწერილა რაიმე. თუმცა სანდასან აქაც მომხდარა ხოლმე რამე საყურადღებო ამბავი, მაგრამ გამოძვეუნებული ყოფილა ვინმე? მგონი, არავინ! დღეის იქით იმედი მაქვს დრო-და-დრო აქაურ ამბებსაც მივრე ზახარი, გავითვალისწინო ხალხის ჭირი და ღსინი.

მარტიდან დაწყებული ამ დრომდე აქ წვიმა არავის უნახავს, რის შედეგიც იყო საშინელი გვალვა, რომელმაც ჭირნასუფს დიდი გასაჭირი დააყენა. სიმინდის დათესვა გერც კი მოასურეს—მიწა სახნისს არ იკარებდა. გვალვამ დიდი შეწუხება გამოიწვია ხალხში და იმედი მოსკოვისა თითქმის დაუკარგა. სარწვავ წულებზე სშირი ჩხუბი ხდებოდა. დედაგარცხმა იმ გვალვის დროს იწვეს სიარული ღახარესზე (ღახარესზე სიარული იმასა ქვიან, რომ ათამდე ან მეტი დედაგარცხი შეიყრიან თავს და დადიან კარდავარ, ამასთანავე მღერაინ ლექსს, რომელშიც სთხოვენ ღახარეს და ელიას წვიმის მოსვლას); მამაკაცებმა გამოიტანეს ტუიდან თორმეტი თუმნის შუმა და შეუდგენ სამლოს მზადებას, რომელიც კიდევ მოახდინეს 28 აპრილს. ბუერი დათვრა, მაგრამ ჩხუბი არავის უქნია. ის იყო კიდევ გაათავეს ღსინი, რომ დაუშვა შესუნა წვიმა და იმ დამეს ვარჯათ იწვიმა, მეორე დღესაც არ გაჩერებულა. ეს, რასაკვირველია, ხალხმა მიაწერა სამლოს გადახდას. საღამოზე ნიჩბურამ (ღელის სასკლავა ამ ხეობაში) იწყო თანდათან მატება. ბოლოს მოვარდა იმოდენა ნიაღვარი, რომ კაცი განცვიფრდებოდა მის შესვლით. ამნაირი ნიაღვარი ერთის მეტი არავის არ უნახავს ამ ხეობაში. ის ერთი კი ყოფილიყო 12 წლის წინათ. ხალხში აქა-იქ გაისმა ღახარესი, რომ ეს ხელტუეების გაჭრის ბრძლიაო. შედეგათ ამ დიდ ნიაღვარს ის მოყვა, რომ ორი კომლი ხელ უსასლ-კაროთ დასტოვა, ერთს მარანი გაუქრო, მეორეს წისკილი დაუნგრია, საბძელი გადაუტანა და სსვა, გზები გააფუჭა და ბუერს სავიარე თუ სსვა შუმა მოსტაცა; ვენასუბი და სახნავი მიწები ალაგ-ალაგ მოანგრია. მართლაც, რომ ის დამე ქვემო-ნიჩბასელებისთვის იყო ჯოჯოხეთი და რაღა მარტო ქვემო-ნიჩბისელებისათვის, სოფ. სასხორიც თრთოდა შიშისაგან და ს. ძველს, მდებარეს მტკვრის პირას, სადგურ ქსანკის ქვევით, ხეობამდამ (მეორე დღის სასკლავა) სომ ამნაირივე დღე დააყენა. ერთი სიტუვით, რამდენათ წვიმა სასისარულო იყო, იმდენათ სავალალო შეიქნა. მეორე დღეს, ე. ი. 30 აპრილს წყალმა დაიკლო და ხალხი შეუდგა ვინ შუშის და ვინ ტუის მასხლის ძუხნას რიყებში.

ნიჩბისელი კვირტი.

სადგური აქსტაფა. აქ თანდათან გამწავლდა მომუშავეთა და მოხელეთა რიცხვი და ამდენ ხალხს ერთი სამკითხველო არა გვაქვს. აქსტაფელები შრომის გათავების შემდეგ ვივარდთ გულზე ხელ-დაკრეფილები, უმეტესობა კი სამიეიტ-ნოშია და წითელ ღვინოს შეეჭვება. ეს გამოიწვია უწიგნობამ, უბიბლიოთეობამ, რადგანაც თავისუფლების დროს ტყუილათ ჯდომას ვერ ითმენს ხალხი და ძალა-უნებურათ მიიმართებიან ღოთობისაკენ. ჩვენდა სასისარულოთ, წელს ამიერ-კავკასიის რეინის გზის უფროსმა ავიგო აქვე ასლო რეინის გზის სადგურთან სასწავლებელი უკვლასთვის სკლემისწუდენი, რომელშიც ვარცა ზლომთ სწავლობენ უკვლას წოდების უმაწვილები. ძალიან ვარცა იქნებოდა, რომ ამ სკოლას ერთი ოთახი დაეთმო სამკითხველსათვის, ყურნად-გაზეთობას რამენაირათ შევიძინდით. ამ საქმეში დიდი სისარულოთაც შევეწოდით აქაური მუშებიც. იმედა, ამ საქმეს ყურადღებას მიაქცევენ.

არ. წ—ძე.



ს. ძიმიტი (გური). ს. ძიმიტი ძვეს გურიის თითქმის შუაგულ ნაწილში, მდ. სუფსის მარჯვენა ნაპირს. ეს სოფელი ძველად და ძლიერ უსწორ-მასწორია. აქ ვაკე ადგილები (მერები) მარტო სუფსის ნაპირების ახლო-მასლო აჩის. ეს «მერები» ძლიერ ნაყოფიერია, მაგრამ ისინი არ შეადგენენ სოფლის (მუშა ხალხის) საკუთრებას, არამედ იმყოფებიან თ. იესე გურიელის შემკვიდრებისა და თ. გუგუნავების მფლობელობაში. ჭკვა ძიმიტში აჩის სადი, ნიადაგი ნაყოფიერი. სთესენ აქ უმთავრესად სიმინდს, ღომს, ჭვავს, მოყვანა აგრეთვე თამბაქო, მაგრამ მხოლოდ შინაური საქონლებისათვის. მისდევენ აგრეთვე მებაღეობას, მაგრამ ეს მუხრანების სასარგებლო დარგი ისე ვერ სერიობს აქ, როგორც ეს შესაძლებელი იყო; უმთავრესი მიზნები ამისა ის არის, რომ აქ ძლიერ ნაკლებად თუთის (ბუფლის) სე და ძიმიტლებიც არ ზრუნავენ თავის ეზოში გაშვებულ ადგილებზე ეს სასარგებლო მცენარე მოაშენონ. მისდევენ აქ მუფუტეობასაც, მაგრამ ეს დარგი მოუფლებლობის გამო ძლიერ შეფერსებულია, თუმცა შექმლა მას დიდის წარმატებით ესეინა აქ, რადგანაც ამისათვის ტყე სამეოფო არის. ძიმიტლები ძლიერ შრომის მოყვარენი არიან; ამიტომ საშუალო მოსავლიანი წელიწადი რომ ავიღოთ, საწარმო მეტი ჭირნახული მოსდით. ამ ზედმეტს და აგრეთვე თ. გურიელისა და გუგუნავების ტყეებში ბაჟით დამუშავებულს; შესას და შინ დამზადებულს სხვა-დასხვა ნივთებს ძიმიტლები ადვილად ასაღებენ, რადგანაც სამი მოზრდილი სავაჭრო ზუნქტი: ოზურგეთი, ლახნსუთი და ნაგომარი იმყოფებიან ძიმიტის ახლოს. დიდათ აზრებებს ძიმიტლებს ის გარემოება, რომ უმეტესობას ცოტა აქვს საკუთარი მიწა. ამიტომ ისინი იღებენ ადგილობრივი მიწათმფლობელების ადგილებს სამკისამდლოთ და სამეოთხედლოთაც. აგრეთვე მდიდან მიწის ასაღებათ უნაგურაყვადან(სუფსის სადგურის არემარე), რომელიც მოშორებულია ძიმიტზე თითქმის 20 ვერსტით. ზოგი კი იმულებულია სოფელს თავი მიანებოს, ქალაქებში გაიქცეს და ვაჭრობა-მრეწველობასა და ქანსებში მუშაობას მიეოს სული.

სწავლა-განათლების წყურვილი ძიმიტლებს ერთობ ძლიერი აქვთ. ძიმიტის საზოგადოებაში აჩის ორი სამინისტრო სკოლა, ორჯლასიანი და ერთჯლასიანი და ორი სამრეწველო სკოლა, მაგრამ ეს სკოლებიც, რომლებშიაც სწავლობენ ორას ოცდასუთი ბავშვი, ვერ აკმაყოფილებენ მათ და ბევრ ბავშვს უადგილობის გამო ვერ ღებულობენ სკოლაში. მაგრამ, საუბედუროთ, სკოლაში სწავლა-დამთავრებულნი, სიღარიბის გამო თუ უწინამძღვრობის გამო, სწავლას სხვა სასწავლებელში ვერ აგრძელებენ. ძიმიტშივე არსებობს შემხსველ-გამსუხსნებელი ამხანაგობა და უფასო ბიბლიოთეკა-სამეოთხედლო. პირველი ავტო ერთი წელიწადია რაც არსებობს, მაგრამ ჯერ არაფერი გვემის მის წარმატებაზე და, როგორც ვტყობობილობთ, თითქმის არავითარი ნაყოფი არ გამოუღია. სასურველია, იმ პირებმა, რომლებმაც გამოიწვეს ეს საქმე და რომლებსაც ესაა ახარათ, გაუწიონ მას ჯეროვანი ზრუნვა, თორემ თუ ეს საქმე მიიფუშა, მაშინ მცნობრებლების ნდობაც ამ საქმის შესახებ დააკარგება, შემდეგში ძნელი იქნება იმისი ადგენა და ამ საქმის სელახლათ გამოწვევა. ბიბლიოთეკაც ძლიერ შეფერსებულია და, როგორც ვტყობობა, მალე განისვენებს წილას შინა აზრამისა. კორესპონდენციის (იხ. «კვალი» № 36 1900 წ.) გამო გამოწვეულს ვრებას ბიბლიოთეკის დამაარსებელმა ვლ. ლომაკემ მისცა აზვარიში. ამავე ვრებაზე ბიბლიოთეკაზე მზრუნველობა დაეკალა სამს პირს.

ნეტავი რას აკეთებენ ეს პირები, რომ ასე გულგრილად უყურებენ ბიბლიოთეკის უკანსულს. ძლიერ სასურველია ამ პირებმა და აგრეთვე ადგილობრივმა ინტელექტუალურმა იზრუნონ ბიბლიოთეკის წარმატებაზე. მოუზოონ მას წევრები, რაიმე წყარო, საკუთარი შენობა, თორემ ბიბლიოთეკა ესაა არაფერს არ წარმოადგენს.

მამასახლისი ძიმიტლებს გვარინი ყავთ, მხოლოდ ამ ბოლოს დროს კი ესაყვედურებიან, რატომ ესაა, სენა-თესვა-თახნის დროს, გზას გვამუშავებს, თებერვალში და მარტში კი, როდესაც უფრო მოცლილი ვიყავით, ყურადღება არ მიაქცია ამ საქმესაო.

მართლის მოქმელი.

ჭიათურის ბანკი.

დაწმუნებული ვარ მკითხველი საზოგადოება ვერ დაივიწყებდა შარშანდელ შავი ქვის მრეწველთა ვრებას, რომელზედაც დიდი შეტაკება მოხდა წერილსა და სხვილ მრეწველთა შორის. ამ ორ შარტიათ ბრძოლა არცა გავს და არც ეგვიანება სხვა ხვენ დაწესებულებათა ბრძოლას, რადგან ამ ბრძოლას ერთობ მკვიდრი ნიადაგი აქვს, ნიადაგი ეკონომიური და ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლოა. წარსულზე არც ვიტყვი, რადგან ვითსა მეტათ გამოწვეული იყო, და მომავალში ვიდევ უფრო ნათელი გასდება; ამ წერილში მე მინდა შევახერხო საზოგადოების ყურადღება ახლათ დაარსებულ ბანკზე, რომლის ისტორია შემდეგია.

სხვა იარაღთა და საშუალებათა შორის, რომელთაცაც წერილ მწარმოებელთა შარტია მოელოდა ცოტათ თუ ბევრათ თავის გაჭირვების შემსუბუქებას, მიმხნეულ იქმნა მათგან ბანკის დაარსება და მით ვრედიტის გათავება და გადავილება. ამ საკითხის წამოყენება სავსებით ეკუთვნის წერილ მწარმოებლებს. ასე გასინჯეთ, საბჭოს შრომანამაშაიც კი არ ჭქონდა შეტანილი და მსჯელობის დროსაც არ გამოეუთქვამს თავისი აზრი. თუმცა, უკველია, ესმოდა, რომ ბანკი ცოტათ თუ ბევრათ სელს შეუწოებდა წერილ მწარმოებლებს. ვრებაში მანინ სასურველათ და საჭიროდ სცნო ბანკის დაარსება და მიანდო საბჭოს როგორც წესდების შედგენა, აგრეთვე შეამდგომლობა ამ წესდების დამტკიცებაზე. საბჭომ ეს მიანდობილობა პირნათლათ შეასრულა და მეტიც ივისრა: მან წესდების დამტკიცების შემდეგ მოიწვია ახალი წევრები — 62 კაცი, თავის შედგენილი სიით. ამათ რომ წესდებაზე სელმოწერილი 29 წევრი მიემატოთ, შედგება 91 წევრი; საბჭომ შესაძლებლათ სცნო ამ რიცხვით დაკმაყოფილება ბანკის ოპერაციების დაწვევამდინ.

ასეთი იყო საქმის გარემოება. როცა მწარმოებლებმა შეიტყეს, წესდება დამტკიცებულიაო, საბჭოში განცხადება შეიტანეს, წევრათ ჩავკურთოთ; მაგრამ საბჭომ არ სცნო საჭიროთ ამათი თხოვნის დაკმაყოფილება, და ბევრი ისეთი მრეწველი დარჩა საქმის გარეთ, რომელიც ძლიერ დაინტერესებული იყო ბანკის მომავალით; უმეტესობა ამ «შეტაც გარეთ» დარჩენილთაგან, რასაკვირველია, წერილი მრეწველებია, ე. ი. ისინი, ვისთვისაც და ვისი ინტეატივითაც დაარსდა ბანკი. მაშინ კი დაეტყოთ უკმაყოფილება და სხვა გზით დააზიკეს ვკვრდის ხვევა: შედგა განცხადება საბჭოში შესატანი, რომლითაც დამთუძნებული წევრები, რომელთაც წესდებაზე აქვთ სელი მოწერილი, თხოულობდენ საქმის მათდამი გადაცემას. ამ განცხადებას აწერდა სელს 15 კაცი 29-დან, ე. ი. უმრავლესობა, მაგრამ სანამ ამ განცხადებას საბჭოს წარუ-

დგენდნ, თვით საბჭომ მოიწვია დამფუძნებლები და მოასვენა რა საქმის უითარება, სთხოვა საბჭო განეთავისუფლებინათ და თვით მიეღოთ საქმის მოწეობა. ამ რიგით, როგორც სედავთ, უმრავლესობა და საბჭო ერთმანერთს მიუგებენ და ერთი სურვილი ჰქონდათ, მაგრამ ვრებაზე სულ სხვა უმრავლესობა აღმოჩნდა, საქმე ისევე საბჭოს მიანდეს და ყოველივე მისი წინანდელი მოქმედება მოაწონეს და დამტკიცეს; უარყვეს, რასაკვირველია, ასალი წვერემის მიღებაც. ამ რიგით, ეს ასალი ბანკიც იმავე საბჭოს ხელში მოყვა, რომელიც მსოფლოთ ეგრეთ წოდებული სსვილი მრეწველების წარმომადგენელი და მათი ინტერესების დამცველია; იმ საბჭოს ხელში, რომელსაც ისეთი რისით გავიცხვა გამოუცხადეს შერშინდელ ვრებაზე. საბჭოს ხელშია, იმიტომ რომ თითქმის ყველა წვერები საბჭოს მიწვეულია და ისეთი გიჟი ვინ იქნება თავისი მტრები მიიწვიოს!.. ასეთია ფაქტით და საქმის ისტორია. ასლა ვნახათ, რამდენათ სამართლიანია ესეთი მდგომარეობა, ვინ არის დანაშაული და რა შედეგი შეიძლება მოყვეს ამგვარათ საქმის დაყენებას.

როგორც მოგახსენეთ, ჭიათურის პარტიათა ბრძოლა არის ბრძოლა ეკონომიური და ასეთ ბრძოლაში სამართლიანა ბრძინების ჩართვა უადვილოც არის, როგორც ცხოვრება ტვიმტვიტებს. ორივე მხარე მართალია თავის აზრით და ვერც ერთს ვერაფერში ვერ დაარწმუნებ, თუ ის მისი ჯიბის სასარგებლო არ არის. აქ ძალას ძალა უზირდაპირდება და მართალი ის არის, ვინც იმარჯვებს, ყოველ შემთხვევაში უცილობლათ უნდა მივიღოთ ის აზრი, რომ სამართლიანობაზე მსჯელობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მებრძოლთათვის.

ასეთ შემთხვევაში გარეშე სასოგადოებას და მწერლობას შეუძლია ისევე მდგანელოს მსოფლოთ ერთის მოსახრებათ: რომელი პარტიის გაძლიერება უფრო ხელსაყრელი და სასარგებლოა მუშისათვის, როგორც სასოგადოების, ისე მრეწველობისათვის, და ადვილათ შეიძლება უაღრესი და უუღმობიერესი დემოკრატიც ვი მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ თავისი სიმშატია, წინააღმდეგ გრძნობისა, სსვილები აქვან გადასარდას; მით უმეტეს შესაძლებელია ეს, რომ მრეწველობისათვის აუცილებელი საჭიროებას ტუხნივის განვითარება და შრომის მდგომარეობის გაუმჯობესობა და ეს ვი შესაძლებელია მსოფლოთ სსვილი წარმომადგენლისათვის, როგორც სინამდვილე ვაჩვენებს.

მეორე მოსახრებათ ყოველ სასოგადოებას, და კერძოთ ჩვენსასაც, მიღებული აქვს ეროვნული პრინციპი, რომელიც თსოფლობის, რომ ვაპიტალი და წარმოება ისევე «ჩვენ» ხელში იყოსო. ეს პრინციპი, რასაკვირველია, ბურჟუაზიულია და მის გარჩევას ჩვენ არ შეუვადებთ, მსოფლოთ აქ მოვიტანეთ მისივე აღმსარებელთა მოსაგონებლათ. ამ ორი საზომით უნდა შევედგეთ ჭიათურის საქმის გამორკვევასაც, და იქ შევახსებულ პარტიათა დაფასებას. ამის მიხედვით შეგვიძლია მოვთხოვოთ ასეთი თუ ისეთი მოქმედება საქმის მოთავეებს. ჭიათურის სსვილ მრეწველთა პარტია რომ მართლა მრეწველებს წარმოადგენდეს, მაშინ კითხვა ერთობ რთული იქნებოდა და მეტ დროს და შრომას მოითხოვდა ჩვენგანაც. ასლა ვი უკვლასათვის, ვინც ცოტათი მინც დაკვირვების ჭიათურის მრეწველობას, ცხადსე ცხადია, რომ დიდი უმრავლესობა ამ ეგრეთ წოდებული სსვილი პარტიისა წარმოადგენს მსოფლოთ „სეკუნდარებს“, ანუ მრეწველობის ჩარჩებს და მათი «მრეწველობა» მდგომარეობს მსოფლოთ ბაზრისა და სამდვილ მრე-

წველთა შორის შეამავლობაში, რისთვისაც ერთობ დიდ განსამრჯელოს იღებს; ყოველივე მათი ღონისძიება იმაზე არის მიმართული, რომ მრეწველს შეუჩინოს განკარგებული დრო და ხალის ფასათ ჩაიგდოს ხელში მისი საქონელი, ესე იგი, ისეთსავე როლს ასრულებს, როგორსაც სოფლის ჩარჩი მურნეობაში. ისეთი ფიქმა ვი სუთი არ მოიპოვება ჭიათურაში, თვით მრეწველი იყოს და თან სსვილი ვაპიტალის პარტიონი. აშკარაა, რომ ამ «სეკუნდარებს» და ჩარჩების როლი სრულებით მეტია და ყოველი შეგნებული წვერი სასოგადოებისა უნდა ცდილობდეს, განდევნოს ეს შეამავლები და ბაზარს სამდვილი მრეწველები დაუსლოვოს.

ასლა ვიღოთ მეორე საზომი, რომელსაც ჩვენი სასოგადოება დიდ ყურადღებას აქტევს, ეს, ზვეით მოსხსენებელი, ეროვნული პრინციპი. თუ ამ მხრით შევხედავთ საქმეს, აქც ვრწმუნდებით, რომ წვერები მსოფლოთ ქართველებია და სსვილები ვი რა და რა რჯულის ვანტიურისტი არ ვინდა იყოს.

საჭიროა ისიც გავიგოთ, რით ჰქვავთ დამორჩილებული «სსვილებს» მრეწველები. რასაკვირველია ფულთ, რომელიც თანამედროვე ცხოვრების უძლიერესი ძალაა და უმაღლესი მსაჯული, წვერები მრეწველი იმიითა წვერები, რომ ფული არა აქვს და თუ ცოტა შეხერდა მისი საქონელი, განკარგებაში ვარდება. აი, ამით საჩუკებლობენ ჭიათურის ჩარჩები და სულს წვდიან ამ მრეწველებს. ეს შეიგნეს უგანასკნელებმა და მოასურვეს ამათი მონობისგან თავის დასწება, საშუალებათ ვი ბანკის დაარსება გამონასეს. მაგრამ თვითვე გამოიცდეს ხელიდან თავისი ძალა მით, რომ ბანკი ისევე სსვილებს ჩაუტდეს ხელში. დამნაშაუნი არიან ისევე წვერები. აბა რა ვკუმტუნოთ «სსვილებს», ან მათ ორგანოს — საბჭოს, თუ ისინი იაფი და ხელ-მისაწვდომი ვრედიტის*) წინააღმდეგნი იყვნენ, შემდეგ ცდილიყვენ, თუ ბანკი დაარსდეს, ისევე ჩვენ ჩავიგდოთ ხელშიო, «ლუკმა გავარდეს ჯამში ჩავარდესო». გასამტუნარია აქ სასოგადოთ წვერელ მწარმოებელთა პარტიაა, რომელმაც დიდი დაუდევრობა გამოიჩინა წესდებაზე სულის მოწერის დროს; დამნაშაუა ის 15 თუ 16 ვაცი დამფუძნებელთაგან, რომელთაც ვიდევ ჰქონდათ საშუალება საქმე გამოებრუნებათ და არ ქნეს. სასაცილოა აი სუთმეტი ვაცის მდგომარეობა, რომელთაც დღეს ერთს მოაწერეს ხელი და სვალ მეორე ვადაწვეტიტეს!.. დიას, დამნაშაუა საქმის ასე დაბოლოვებაში თავიდან ბოლომდე წვერები და არა საბჭო, რომლისგან ჩვენ არაფრის მოთხოვის უფლება არა გვაქვს, რადგან ის სსვილების არჩეულია და საკვირველია მსოფლოთ მისი რანდული ქტევა, რომელმაც პრინციპით მე მომიიფა ვიდევ. მოსაწონია მისი გულ-ასდილობა და დასაკობია წვერელ მწარმოებელთა უთაურობა და წაქვე-უგუჯვქობის თამაში. რავი ბანკი სსვილების ხელში მოჭევა, შესაძლებელია მთლათ უნაყოფოთ ჩაიაროს მისმა მოქმედებამ წვერელ მრეწველთათვის და მათვე დასახარგავ იარაღათ იქმნას სმარებული. შესაძლებელია ისიც, რომ საბჭომ და მისმა პარტიამ კუთილ ინებოს და ცოტათი მინც სასარგებლოს წვერებს, მაგრამ თუ მასე იქნა დამოვიდებული, იქამდის არ იქმნება საქმეს, რომ ეს ბანკი ბრძოლაში წვერებს გამოადგეს იარაღათ. ასეთია, ჩვენი აზრით, ასალი ბანკის მომავალი და ამის მიზეზი, ვიმეორებ, ისევე წვერებისა და მათგან თავიანთ ინტერესების შეუგნებლობა.

შესაძლებელია, რასაკვირველია, მომავალი გამეკობა სსვა

*) რასაკვირველია, წვერებისათვის, რომელთაც გარეშე ბანკები ნაყლებათ უხსნიან ვრედიტს.



გზას დაადგეს და ბანი თავის დანიშნულებას დაუსდლოვდეს; ამისათვის საჭიროა მხოლოდ გონება-საღი და პატიოსანი პირები იქმნენ საქმის სათავეში. მათი პატიოსნება თავდები იქნება, რომ ისინი საქმეს შეისწავლიან და და თუ ხვენი ცხოვრების კეთილის მყოფელები არიან, ჩვენს ანუსსულ გზას არ გადაუხვევენ, რადგან საჭიროა ჩვენში მკვლევრობის განვითარება და არა ჩარხების გამრავლება და გაძლიერება.

ნ. ელიავა.

რუსეთის ცხოვრება.

ჰერ კიდევ ვიდრე გენერალი ვანოვსკი არ იყო დანიშნული საერო განათლების მინისტრად, უსანის უნივერსიტეტის პროფესორებმა მიჰმართეს სამოსწავლო საოლქო მხრუხველს, რომ მას ნება დაერთო პროფესორებისათვის კრებების მოსდინისა. ამ კრებებზე უნდა გამოეკვლიათ უნივერსიტეტში მომხდარ არეულობის მიზეზი და შეემუშაებინათ პროგრამა, რომელიც საფუძვლად უნდა დასდებოდა უნივერსიტეტის რეფორმას. კრებები ნება დაართულ იქმნა. პროფესორებმა ამოიჩინეს განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაეკავა შეემუშაებინათ მოსახერხებელი სახით ამ საგნის შესახებ გამოთქმული აზრები.

«**ორლოვის უწყ.**»-ში დაბეჭდილია სიზრან-ვიასემისკის რეინის გზის უფროსის ბრძანება, რომლითაც სსენებულ რეინის გზის დაბალ-მოსამსახურეთ აღარ უნდა გადახდეთ ჯარიმა ფულად: «სასარგებლოთ მიმხნია, ამოიბს რეინის გზის უფროსი, რომ უბრალო დანაშაულობისთვის, მოსამსახურეთ ფულად დაჯარიმება შეეცვალოს თანდათანობით: 1) შეიშინის მიცემით, 2) უმართულობის გამოთქმით, 3) სასტიკი უმართულობის განცხადებით, 4) და სამსახურიდან დათხოვნის დაქადებით. თუ ამ შემთხვევაში მოსახერხებელია ზომების შესაფერი ნაყოფი ვერ მოიტანეს, მაშინ გაუსწორებელი მოსამსახურენი დათხოვნილ უნდა იყვნენ სამსახურიდან».

საერო განათლების სამინისტრომ უკვე შეიმუშავა უმთავრესი საფუძვლები საშუალო სასწავლებლის რეფორმებისთვის; ეს საფუძვლები შემდეგნაირად: გაზრახულია შემოიღონ ისეთი ტიპის საშუალო სასწავლებლები, სადა სწავლა შეიძლება წელიწადს იქნება: ლათინურისა და ინგლისურ ენის სწავლება სავალდებულო არ იქნება. ბერძნულ ენას მხოლოდ შიდა რუსეთის ქალაქების სუთ გიმნაზიაში ასწავლიან. ლათინური ენის სწავლებას დაიწყებენ მხოლოდ კლასიდან. შემოდებულ იქნება სამი ასალი საგანი: რუსეთის აღწერა, კანონ-მდებლობა, და ბუნების მეტეოლოგია. პირველი ორი საგნის სწავლება სავალდებულო იქნება იმათთვის, ვინც ლათინურ ენის სწავლებაზე უარს განაცხადებს, ბუნების მეტეოლოგია კი უკვლასთვის სავალდებულო იქნება. სწავლა დამთავრებულთ ნება ექნებათ უეგზამენებოთ შევიდნენ ფიზიკურსა და მათემატიკურ ფაკულტეტებზე, სოლო იურიდიულ და სამეურნელო ფაკულტეტზე შეეძლებათ შევიდნენ ისინი, ვინც ლათინურ ენას შეისწავლიან, ფილოლოგიურზე—ვინც ორივე ძველ ენას შეისწავლის. ვინც არც ერთ ძველ ენას არ შეისწავლის, შეუძლიანთ შევიდნენ უკვლას შემოსახერხებულ ფაკულტეტებზე თუ ამ ენებში ეგზამენს დაიჭერენ.

გზათა სამინისტრომ წინადადება მისცა რეინის გზებს, რომ ამ გზებზე თანდათან შემოიღონ სსკა-და-სსკა მოწყობილებანი სამეურნელო ნაწარმოების გადატან-გადმოტანის გასაძლიერებლად.

აქამდის მხოლოდ მოსკოვში არსებობდა ნათესის დასეტყვისაგან ერთათ-ერთი დამზღვევი საზოგადოება. ასლა

იმავე მიზნით პოლონეთში 25 პოლონელ შემამულეს დაურსება საზოგადოება «ცერქა». საზოგადოება იწყებს თავის ოპერაციებს 100.000 მ. თანხით. მისი სამომავლო რაიონი ჰერ-ჰერობით მხოლოდ პოლონეთია.

«**კათოლის შავი ქვის საწარმოვით** ამ მოკლე ხანში შედგა ორი საზღვარგარეთელი ამხანაგობა, ერთი საფრანგეთში სახელწოდებით «შავი ქვის მალარობის უსახელო საზოგადოება დარვევით», რომელსაც ძირითადი თანხა აქვს 1.600.000 ფრანკი, მეორე—«რუსეთის შავი ქვის საზოგადოება», რომელსაც ძირითადი თანხა აქვს 30.000 გირ. სტერ.

